საქართველოს პარლამენტის წევრი

2015 წლის 10 ივნისი

საქართველოს პარლამენტის

საორგანიზაციო დეპარტამენტს

საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების საფუძველზე, იმავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ კონსტიტუციური კანონის პროექტს საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

გთხოვთ, მსვლელობა მისცეთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილ პროცედურას.

წარმოდგენილ პროექტზე წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ვანიჭებთ საქართველოს პარლამენტის წევრებს გიორგი ვოლსკის, დავით ბერძენიშვილს, გიგა ბუკიას, მალხაზ ვახტანგაშვილს, გიორგი თოფაძეს, გოჩა ენუქიძეს, ვახტანგ ხმალაძეს.

დანართი:

1. კონსტიტუციური კანონის პროექტი.

2. განმარტებითი ბარათი.

3. კონსტიტუციის იმ მუხლების მოქმედი რედაქცია, რომლებშიც შედის ცვლილება.

პატივისცემით,

საქართველოს პარლამენტის წევრები:

1. /ლ. ყლიჩიშვილი/
2. /გ. ბურჯანაძე/
3. /ბ. ჯობავა/
4. /ზ. ალადაშვილი/
5. /ბ. ...ი/
6. /...ი/
7. /...ი/
8. /...ი/

№ 07-3/475
03.09.2015
7

9.
10.
11.
12.
13.
14.
15.
16.
17.
18.
19.
20.
21.
22.
23.
24.
25.
26.
27.
28.
29.
30.
31.
32.
33.
34.
35.
36.
37.
38.
39.
40.
41.
42.
43.
44.
45.
46.
47.
48.
49.
50.
51.
52.
53.
54.
55.
56.
57.
58.
59.
60.

61.

62.

63.

64.

65.

66.

67.

68.

69.

70.

71.

72.

73.

74.

75.

76.

77.

78.

79.

80.

81.

პროექტი

საქართველოს კონსტიტუციური კანონი

საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს კონსტიტუციაში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995, №№31-33, მუხ. 668) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 49-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობების შექმნამდე საქართველოს პარლამენტი შედგება 4 წლის ვადით არჩეული 150 პარლამენტის წევრისაგან. პარლამენტის წევრები აირჩევიან საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, პროპორციული საარჩევნო სისტემით, მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით.“.

2. 50-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის მხარდაჭერაც დადასტურებულია ამომრჩეველთა ხელმოწერებით ორგანული კანონით დადგენილი წესით, ან რომელსაც ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში არჩევნების დანიშვნის დროისათვის. ორგანული კანონით განსაზღვრული ამომრჩევლების ხელმოწერების რაოდენობა არ შეიძლება იყოს ამომრჩეველთა რაოდენობის 1 პროცენტზე მეტი.

2. პარლამენტის წევრთა მანდატები შეიძლება მიეკუთვნოს მხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო ბლოკებს, რომლებიც მიიღებენ ყველა მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქის მიხედვით არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ხმების 4 პროცენტს მაინც. ყოველ მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში ზემოაღნიშნულ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება მათ მიერ შესაბამის საარჩევნო ოლქში მიღებული ხმების პროპორციულად ორგანული კანონით დადგენილი წესით.“.

მუხლი 2. გარდამავალი დებულება

2016 წლის საერთო საპარლამენტო არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პარლამენტი შედგება 4 წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 პარლამენტის წევრისაგან. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მომდევნო საერთო საპარლამენტო არჩევნების შედეგად არჩეული პარლამენტის პირველი შეკრების

დღემდე, პროპორციული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრის უფლებამონაცვლის დადგენისა და მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრის არჩევის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 3. დასკვნითი დებულება

ეს კანონი ამოქმედდეს 2016 წლის საერთო საპარლამენტო არჩევნების შედეგად არჩეული პარლამენტის პირველი შეკრების დღიდან.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) <u>კანონპროექტის მიღების მიზეზი</u>:

კონსტიტუციით დადგენილი საარჩევნო სისტემა უნდა შეესატყვისებოდეს ქვეყნის პოლიტიკური სისტემის განვითარების დინამიკას. საარჩევნო სისტემის რეფორმის ინიცირების მიზნით, კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი პარტიებისა და საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალი ფრაქციების მონაწილეობით, გაიმართა რთული, კომპლექსური და ხანგრძლივი დისკუსიები, რომელიც პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების ფარდობითი უპირატესობებისა და ნაკლოვანებების ანალიზსა და შეფასებას ეფუძნებოდა. აღნიშნული დისკუსიების შედეგად კოალიციამ მიიღო პრინციპული პოლიტიკური გადაწყვეტილება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საპარლამენტო არჩევნების პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარების უზრუნველყოფის შესახებ.

ა.ბ) <u>კანონპროექტის მიზანი</u>:

კანონპროექტის მიზანია კონსტიტუციით დადგენილი საარჩევნო სისტემის ადაპტირება ქვეყნის პოლიტიკური სისტემის განვითარების დინამიკასთან. აღნიშნული მიზნით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს პარლამენტის არჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემით, მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით.

მრავალმანდატიან ოლქებში არჩევნების ჩატარების პირობებში შენარჩუნებული იქნება ტერიტორიული წარმომადგენლობის პრინციპი, რაც მნიშვნელოვანწილად პასუხს გასცემს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გაუქმებასთან დაკავშირებულ კითხვებს.

კოალიციაში შემავალი პოლიტიკური პარტიები აცნობიერებენ, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემის დამკვიდრება პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციის მაღალ ხარისხს მოითხოვს. ამასთან, კოალიციის გადაწყვეტილება ეფუძნება რწმენას, რომ „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში, საქართველოში პოლიტიკური სისტემა უახლოეს წლებში მიაღწევს განვითარების იმ ხარისხს, რომელიც პროპორციული საარჩევნო სისტემის დანერგვასთან დაკავშირებული სირთულეების (შედარებით სუსტი კავშირი დეპუტატებსა და ამომრჩეველს შორის, მყარი საპარლამენტო უმრავლესობის ვერჩამოყალიბების რისკი და სხვ.) პრევენციისთვის არის აუცილებელი.

ა.გ) <u>კანონპროექტის ძირითადი არსი</u>:

კანონპროექტის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციით განისაზღვრება, რომ საქართველოს პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით,

მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით პროპორციული სისტემით არჩეული 150 პარლამენტის წევრისაგან. ამასთანავე, განისაზღვრება, რომ პარლამენტის წევრთა მანდატები შეიძლება მიეკუთვნოს მხოლოდ იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებიც მიიღებენ ყველა მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქის მიხედვით არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ხმების 4%-ს მაინც, ხოლო თითოეულ მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში საარჩევნო სუბიექტებს შორის პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება მათ მიერ შესაბამის საარჩევნო ოლქში მიღებული ხმების პროპორციულად ორგანული კანონით დადგენილი წესით.

უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო ზღურბლი მცირდება 5-დან 4%-მდე, რაც შეამცირებს ე.წ. „დაკარგული ხმების" რაოდენობას.

ზემოაღნიშნული ცვლილება ძალაში შევა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად არჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე და ამ ცვლილების შესაბამისად ჩატარდება შემდგომი საპარლამენტო არჩევნები.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) <u>კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო</u>:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს რაიმე ხარჯის გაწევის საჭიროებას.

ბ.ბ) <u>კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე</u>:
კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) <u>კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე</u>:
კანონპროექტის მიღება შეამცირებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, რადგან საჭირო აღარ იქნება მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურისა და შუალედური მაჟორიტარული არჩევნების გამართვა.

ბ.დ) <u>სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები</u>:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსთვის ახალი ფინანსური ვალდებულებების დაკისრებას.

ბ.ე) <u>კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება</u>:
კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგია საარჩევნო კამპანიის ხარჯის შემცირება საარჩევნო სუბიექტებისთვის.

ბ.ვ) <u>კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)</u>:
კანონპროექტით არ ხდება რაიმე გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესება ან მათი განაკვეთების განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) <u>კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან</u>:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) <u>კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან</u>:
კანონპროექტი შეესაბამება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს

წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, ევროპის საბჭოს და ეუთო/ODIHR-ის რეკომენდაციებს.

გ.გ) <u>კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან</u>:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) <u>სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში</u>:
კანონპროექტის მომზადების პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო დაწესებულებებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ექსპერტებს. კანონპროექტის მომზადებისას გათვალისწინებული იყო პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოსაზრებები.

დ.ბ) <u>კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში</u>:
კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტის შეფასება.

ე) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: გიორგი ვოლსკი, დავით ბერძენიშვილი, გიგა ბუკია, მალხაზ ვახტანგაშვილი, გიორგი თოფაძე, გოჩა ენუქიძე, ვახტანგ ხმალაძე.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის 81 წევრი.